ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 28 მაისის სხდომის

ოქმი №5

სხდომას ესწრებოდა: 28 წევრიდან – 15.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი
2. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის სარეკომენდაციო წესის დამტკიცება
   მომხს: ნ. დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი
3. კ. კაკაჩიასა და ა. კუხიანიძის განცხადებების განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია
4. ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცება
   მომხს: ვ. მელიქიძე, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე განხილული და დამტკიცებული „სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, ნ. დურგლიშვილმა, მ. გერსამიამ, და სხვ.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას “სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება” და დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ–ის აკადემიურ საბჭოს (თან ერთვის).

მოისმინეს: 2. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის სარეკომენდაციო წესის პროექტი განსახილველად გამოიტანა ასოცირებულმა პროფესორმა ნ. დურგლიშვილმა

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ტ. ირემაძემ, დ. ოსეფაშვილმა, და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის სარეკომენდაციო წესი (თან ერთვის).

მოისმინეს: 3. თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორების კ. კაკაჩიასა და ა. კუხიანიძის განცხადებები. ისინი ითხოვენ 3 თვიან სამეცნიერო–შემოქმედებით შვებულებებში გასვლას ერაზმუს მუნდუსის პროექტში გამარჯვების გამო. აქვე აღინიშნა, რომ კ. კაკაჩიას გამოყენებული აქვს 9 თვე, ხოლო ა. კუხიანიძეს 7 თვე.
აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, მ. წერეთელმა, ნ. ტალახაძემ და სხვა.
დაადგინეს: ეთხოვოს თსუ-ის რექტორს:

1. ა. კუხიანიძისთვის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების მიცემა მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე

2. კ. კაკაჩიასთვის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების მიცემა მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის პროექტი წარმოადგინა დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ვ. მელიქიძემ
აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, მ. წერეთელმა, ნ. ტალახაძემ და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი (თან ერთვის).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ნ. დურგლიშვილი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

28 ივნისი 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. ალექსანდრე რონდელი
9. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ცინაძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე

საფაკულტეტო კონფერენციის ჩატარების წესი

სამეცნიერო კონფერენცია განიმარტება როგორც სხვადასხვა დაწესებულების, მიმართულებების, ქვეყნების მეცნიერების დიდი შეკრება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელით მოწვეული სამეცნიერო კონფერენცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. წარმოადგენდეს ფაკულტეტის ორ ან მეტ მიმართულებას, ან ფაკულტეტის ერთ მიმართულებას და/ან თსუ სხვა ფაკულტეტს, სხვა ორგანიზაციას;

2. მონაწილეთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 15–ის.

კონფერენციის ორგანიზატორებმა უნდა შემოიტანონ განაცხადი ფაკულტეტის დეკანის სახელზე კონფერენციის სავარაუდო თარიღიდან ორი თვით ადრე. განაცხადი უნდა შემოიტანოს ფაკულტეტის პროფესორმა.

განაცხადში მითითებული უნდა იყოს:

1. კონფერენციის თემა;

2. კონფერენციის ორგანიზატორ(ებ)ი;

3. ჟიურის შემადგენლობა (არანაკლებ 3 პროფესორისა);

4. ჩატარების სავარაუდო თარიღი;

4. კონფერენციის ორგანიზაციის პირობები, რომელთა შესრულება მოითხოვს ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობას (აუდიტორიის გამოყოფა, სერთიფიკატის დაბეჭდვა და ა.შ.)

ინფორმაცია კონფერენციის ჩატარების თაობაზე უნდა განთავსდეს ფაკულტეტის ვებ–გვერდზე, მასში უნდა იყოს მითითებული:

1. კონფერენციის თემა;

2. კონფერენციის ორგანიზატორ(ებ)ი;

3. ჩატარების ადგილი და თარიღი;

4. მონაწილეობის მსურველთა მიერ განაცხადის შემოტანის პირობები: აბსტრაქტის (მოცულობა და ფორმატი), აბსტრაქტის გაგზავნის ბოლო თარიღი; აბსტრაქტის შერჩევისა და/ან კონფერენციის მონაწილეთა მოხსენების შეფასების კრიტერიუმები.